საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia
LEPL Environmental Information and Education Centre

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6 (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge
0159, #6 M. Gelovani str., Tbilisi, Georgia (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge

N 01/1/2209
10/08/2023

2209-01/1-2-202308102011

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინა **ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში.**

დაგეგმილი სტრატეგიული დოკუმენტის სგშ ანგარიშთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები საზოგადოებას შეუძლია, წარუდგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნულ საკითხზე საჯარო განხილვა გაიმართება 2023 წლის 26 სექტემბერს შემდეგ მისამართზე: დაბა ხულო ტბელ აბუსერიძის ქუჩა N1.

„საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების შესაბამისად, საჯარო განხილვის ორგანიზატორს წარმოადგენს დამგეგმავი ორგანო, ამასთან სავალდებულოა შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობა. განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ნაბეჭდი სახით.

ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, **ხულოს მუნიციპალიტეტის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს** საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი

თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართი:
- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 1 გვერდი
- პროექტის დოკუმენტაცია - 2 ფაილი.

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი